“თანამედროვე პირობებში ადამიანის ფიზიკური, ფსიქოლოგიური თუ სხვა ძალადობრივი ზემოქმედებისგან დაცვა წარმოადგენს სერიოზულ პრობლემას და გამოწვევას.

გარე და შიდა ფაქტორებით გამოწვეული პროცესები სერიოზულ საფრთხეს უქმნის პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს უსაფრთხოებას.

ეს საფრთხეები არის მრავალმხრივი და მოიცავს ადამიანის საქმიანობისა და ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტს.

უსაფრთხოების მკვლევართა ასოციაციის საქმიანობა მნიშვნელოვანი საფუძველია უსაფრთხოების კომპლექსში კერძო დაცვითი სამსახურების როლის და ადგილის განსაზღვრის თვალსაზრისითაც.

კერძოდ, პიროვნების თუ სამეწარმეო სუბიექტის უსაფრთხოების საკითხი განიხილება არა კერძო, ცალკეული, შემთხვევების პრევენციის და დაცვის კუთხით, არამედ, ზოგად - ეროვნული უსაფრთხოების ჭრილში.

უსაფრთხოების მკვლევართა ასოციაციის მეცნიერული საქმიანობა მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მეთოდოლოგიურ მიდგომას დასაცავი პირის საფრთხეების და რისკების შეფასებაში.

აღნიშნული ასოციაციის მუშაობა ჩვენთვის, როგორც კერძო დაცვითი საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიისთვის, არის ჩვენი ყოველდღიური საქმიანობის მეცნიერული ანალიზის და პროგნოზის საფუძველი.

კერძო დაცვის სუბიექტის უსაფრთხოება განიხილება ქვეყნის საფრთხეებიდან გამომდინარე და პირიქით, კერძო დაცვის სუბიექტების უსაფრთხოება ასევე შეიძლება, შეფასებულ იქნას, როგორც საზოგადოებრივი უსაფრთხოების ერთ-ერთი ელემენტი.

მადლობას ვუხდი ასოციაციის ყველა წევრს და მეცნიერს საინტერესო კვლევებისა და თეორიული საფუძვლების შემუშავებისთვის, რაც, ვფიქრობ, ძალიან წაადგება კონკრეტულად, როგორც ჩვენს სამსახურს, ასევე ზოგადად, დაცვით ორგანიზაციებს და ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებაში.“